სალექციო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი)

2011/2012 სასწავლო წელი, I სემესტრი

- **ფაკულტეტი:** პედაგოგიურ მეცნიერებათა
- **კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული
- **სალექციო კურსის (საგნის) დასახელება და მისი კოდი**: ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები
- **კრედიტების რაოდენობა ამ საგანში**: 5 ECTS
- **სალექციო კურსის სტატუსი**: სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის
- **ასოცირებული პროფესორი**: ნინო მოდებაძე, ტელეფონი: 855 45 27 94. E-mail: ninomodebadze@rambler.ru
- **ასისტენტ-პროფესორი:** შორენა ძამუკაშვილი
- **სალექციო კურსის აღწერა:** სალექციო კურსი 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს, აქედან: 30 საათი, კვირეული დატვირთვით 2 საათი, სტუდენტებთან საკონტაქტოა, რომელთაგან 1 საათი სალექციოა, 1 საათი –პრაქტიკული მეცადინეობის. დარჩენილი 95 სთ, სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის წილია. კურსში მოცემულია განათლების რეფორმების მოთხოვნათა შესატყვისი, მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და მათი ჩატარების მეთოდიკა. ისინი სალექციო კურსში დალაგებულია მწყობრი სისტემით და ცალ-ცალკე მოიცავს ვერბალური და წერითი ტექნოლოგიებს. შესაბამისად:
- **სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები**:
    - მაგისტრანტმა შეისწავლოს ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და მათი ჩატარების მეთოდიკა;
    - შეისწავლოს სასწავლო პროცესის პროექტირება;
    - დაეუფლოს აქტიური სწავლის პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ხელოვნებას;
    - დაეუფლოს მოსწავლეთა/სტუდენტთა ინდივიდუალურ, წყვილებში და გუნდური მუშაობის წარმართვის ხელოვნებას.
- **სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს ღრმა ცოდნა ახალი საგანმანათლებლო ტექნო-ლოგიების სფეროში | მაგისტრანტი ფლობს ცოდნას ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და მათი სასწავლო პროცესში ადექვატური გამოყენების შესახებ. იგი ამ ტექნოლოგიებს იყენებს მოსწავლეთა/სტუდენტთა ინდივი-დუალურ, წყვილებში და გუნდური მუშაობის დროს. იგი ფლობს |

| | | |
|---|---|---|
| | | აქტიური სწავლების ისეთ ტექნო-ლოგიებს, როგორებიცაა: მოზაიკა, გონებრივი იერიში, თოვლის გუნდა, კამათის გამომწვევი ესსე, წერა მაგიდის გარშემო, ვენის დიაგრამა, კუბის მეთოდი, სამსაფეხურიანი ინტერვიუ და სხვა. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ შემოქმე-დებითი აზროვნებისა და ძიების უნარი, მიღებული ცოდნის პროფესიულ საქმი-ანობაში გამოყენების უნარი | მაგისტრანტი მზადაა თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოიყენოს სწავლების მოდელი: გამოწვევა–შინაარსის რეალიზება–რეფლექსია. მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი მთლიანად ეფუძნება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს და მოსწავლეებს კრიტი-კული აზროვნებისათვის განაწყობს. |
| კომუნიკაციის უნარი | აქვთ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. |
| სწავლის უნარი | შეუძლია საგანმანათლებლო სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება; | შეუძლია საინფორმაციო ტექნო-ლოგიების ეფექტური გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება, დამუშავება და შესაბამისი თვალსაჩინოების გამოყენებით პრე-ზენტაციების მომზადება. ამასთა-ნავე, აქვს ლიტერატურაზე ეფექ-ტურად მუშაობის უნარი. მუდმივად ზრუნავს საკუთარი პროფესიო-ნალიზმის განვითარებაზე; მუდმივად ახდენს საკუთარი საქმიანობის შე-ფასებას და ზრუნავს პროფესიო-ნალიზმის განვითარებაზე. |
| ღირებულებები | აქვს საგანმანათლებლო საქ-მიანობაში არსებული ღირებულებების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი. | ლექციაზე ეფექტურად ახდენს თვითშეფასებასა და ამხანაგების შეფასებას. წარმატებით მუშაობს ჯგუფში როგორც ლიდერი და რო-გორც რიგითი წევრი; საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად არეგუ-ლირებს ჯგუფის წევრთა შორის და ლექტორთან ურთიერთობას. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

- **ძირითადი ლიტერატურა**: *მახაშვილი, დ. რიდერი: „ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები“;*
- **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

შეფასების 100% - იანი სისტემა გადანაწილდება შემდეგი სახით:

<u>შუალედური შეფასება</u> – მაქსიმალური 60%

მათ შორის:

*2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

*2 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (10% x 2).

*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა - 10 |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |
| თემის გასაგებად წარმოდგება | 2 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 3 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |
| სულ: | 10 ქულა |

<u>ფინალური გამოცდა</u> – მაქსიმალური 40 %

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი სახით. გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

- ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

## სალექციო კურსის სტრუქტურა

### ლექცია №1

განათლების ახალი პარადიგმა და ტექნოლოგიები

ლიტერატურა: გვ. 5-10

### ლექცია №2

სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები, კონსტრუქტივიზმი.

ლიტერატურა: გვ. 12-23

### ლექცია №3

კურიკულუმი

ლიტერატურა: გვ. 25-27

### ლექცია №4

სილაბუსი

ლიტერატურა: გვ. 28-36

### ლექცია №5

პორტფილიო და მისი წარმოების ტექნოლოგიები

ლიტერატურა: გვ. 38-52

### ლექცია №6

შეფასება, ურთიერშეფასება და თვითშეფასება

ლიტერატურა: გვ. 54-70

### ლექცია №7

თანმედროვე მასწავლებელი და მისდამი წაყენებული ინოვაციური მოთხოვნები

ლიტერატურა: გვ. 71-90

### ლექცია №7

რა არის აქტიური სწავლება: გონებრივი იერიში, მოზაიკა, ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე, სასწავლო დისკუსია, ვენის დიაგრამა

ლიტერატურა: გვ. 91-105

### ლექცია №8

პროვოცირების არსი, ჯგუფური მუშაობა, მუშაობა წყვილებში

ლიტერატურა გვ. 106-122

### ლექცია №9

მინი ლექცია, ნიშანთა სისტემა.

ლიტერატურა: გვ. 123-144

### ლექცია №10

კუბის მეთოდი, კამათის გამომწვევი ესსე

ლიტერატურა: გვ. 145-170

### ლექცია №11

სიტუაციური ამოცანები, სიუჟეტურ-როლური თამაში, აკვარიუმი და გალერეა

ლიტერატურა: გვ. 171-190

### ლექცია №12

პაუზებით კითხვა I, II, III.

ლიტერატურა: გვ. 191-210

### ლექცია №13

წერის მეთოდები, პრეზენტაციის მომზადება

ლიტერატურა: გვ. 211-223

### ლექცია №14

წერის მეთოდი (RAFT), როლი, აუდიტორია, ფორმატი, პირამიდა.

ლიტერატურა: გვ. 224-240

### ლექცია №15

მაგიდის გარშემო წერა, ფანტაზიის განმავითარებელი წერა

ლიტერატურა: გვ. 241-265

**წარმატებას გისურვებთ!**